



სსიპ ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლა

ქ. თბილისი

13 06 2016 წ.

ბრძანება № 2-120

სსიპ – ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლის მოსწავლეთათვის საშემოდგომო გამოცდების დანიშვნის შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მეორე პუნქტისა და „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის N36/ნ ბრძანების 23-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დაენიშნოთ საშემოდგომო გამოცდები სსიპ - ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლის მოსწავლეებს, რომელთაც ვერ დაძლიეს კონკრეტული საგნის/საგნებისათვის ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონე, დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს სკოლის საქმისმწარმოებელს (ნატო მაისურაძე) ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის გაცნობა;
3. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., N6).

საფუძველი: სსიპ – ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილის 2016 წლის 10 ივნისის N657860 მოხსენებითი ბარათი.

სსიპ ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლის დირექტორი:



/ელზა ბადაშვილი/

